Funded by the European Union

მიკრო-, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროგრამა



განხორციელების ვადა: 02.09.2024 - 01.09.2028

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, საქართველოს, სომხეთი

ევროკავშირის წვლილი: € 11 400 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 11 400 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
EIB

პროექტის აღწერა:

პროგრამის მიზანია საინვესტიციო გრანტების გამოყენება ჰეჯირებაზე (მოსალოდნელი ზარალისგან დაზღვევაზე) გაწეული ხარჯების კომპენსირებისთვის, რათა ბანკმა შეძლოს ფინანსური შუამავლებისთვის ხელმისაწვდომი სინთეზური სესხების გაცემა ადგილობრივ ვალუტაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემს ფინანსურ შუამავლებს გასცენ სესხები ადგილობრივ ვალუტაში მიკრო-, მცირე და საშუალო საწარმოებზე და დაიცვან ისინი უცხოური ვალუტის რყევებისგან. დამატებითი ტექნიკური დახმარებით შუამავლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ინკლუზიური და მწვანე დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგები:

1. დასაქმების არაპირდაპირი მხარდაჭერა.
2. გაზრდილი ხელმისაწვდომობა ფინანსებზე.
3. საწარმოო ინვესტიციების მობილიზება ეკონომიკაში.
4. დარგობრივი ინსტიტუტების და საჯარო/კერძო ოპერატორების გაზრდილი პოტენციალი საშუალებას მისცემს მათ უკეთ განახორციელონ / მართონ საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებელი და გარდაქმნების ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტები.